საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/49

ქ. ბათუმი **07 ნოემბერი, 2022 წ.**

ბსუ-ს პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომელის ატესტაციის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,g^1“ პუნქტის, მე-18 მუხლის, 35-ე მუხლის მე-4^1 პუნქტის, 37^2-ე მუხლის მე-5^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ წესდების მე-10 მუხლის, 58-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 62^2-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 62^5-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის“, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილების, ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის N66 დადგენილების,,ბსუ-ს პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომელის ატესტაციის წესის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 25 ოქტომბრის N06-01/110 დადგენილების** და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/07, 07.11.2022წ) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს **ბსუ-ს პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომელის ატესტაციის** წესი, წინამდებარე გადაწყვეტილების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს (აკადემიურ საბჭოს, რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს), რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ბსუ-ს შესაბამის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს: სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30), ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 07 ნოემბრის

N07-01/49 გადაწყვეტილების

დანართი N1

ბსუ-ს პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომელის

ატესტაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი ან ბსუ) პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომელის ატესტაციის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ბსუ-ს პროფესორის ან მთავარი მეცნიერი თანამშრომელის თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით (შემდეგში - უვადოდ) არჩეული პირების (შემდეგში - დასაქმებული/ატესტაციას დაქვემდებარებული პირი) ატესტაციის კრიტერიუმებს/პირობებს და ჩატარების პროცედურას.

2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და ბსუ-ს წესდების საფუძველზე და ეფუძნება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

მუხლი 2. ატესტაციის კრიტერიუმები

1. უნივერსიტეტში უვადოდ არჩეული პროფესორი და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას, პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის, მის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

2. დასაქმებულის ატესტაციის კრიტერიუმები განისაზღვრება ატესტაციის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით და ეფუძნება პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომელის თანამდებობაზე უვადოდ არჩევისათვის და საქმიანობის შეფასებისათვის ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ პირობებს/შეფასების კომპონენტებს (აკადემიური პერსონალის/სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესები).

მუხლი 3. ატესტაციის გამოცხადება

1. ატესტაციას დაქვემდებარებული პირების შესახებ სამსახურებრივ ბარათს ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული წარუდგენს რექტორს.

2. ბსუ-ს რექტორის მოადგილის (სამეცნიერო მიმართულებით) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებული მუშაობით მზადდება ჩასატარებელი **ატესტაციის კრიტერიუმები და წარედგინება ბსუ-ს რექტორს.**

3. ატესტაცია ცხადდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ, საატესტაციო განაცხადისა და დოკუმენტაციის მიღების დაწყებამდე 1 თვით ადრე.

4. ატესტაციის ჩატარების შესახებ აკადემიური საბჭოს განცხადება არანაკლებ **1 თვით ადრე** განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და უნივერსიტეტში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე.

5. აკადემიური **საბჭოს განცხადებაში მიეთითება:**

ა) ატესტაციას დაქვემდებარებული პროფესორის ან მთავარი მეცნიერი თანამშრომელის სახელი და გვარი;

ბ) ატესტაციისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და წარდგენის ვადა;

გ) ატესტაციის ჩატარების დრო და ადგილი;

6. ატესტაციის გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება ეგზავნება ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს.

მუხლი 4. საკონკურსო-საატესტაციო კომისია

1. ატესტაციას ახორციელებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია **(შემდეგში - კომისია),** რომელსაც ატესტაციამდე არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში ამტკიცებს აკადემიური საბჭო, რექტორის წარდგინებით.

2. საკონკურსო-საატესტაციო კომისია განისაზღვრება 3-5 წევრის შემადგენლობით (მათ შორის თავმჯდომარე და მდივანი).

3. დაუშვებელია საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი იყოს ატესტაციას დაქვემდებარებული პირი.

4. კომისია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

5. კომისიის თავმჯდომარე ადგენს დღის წესრიგს და თავმჯდომარეობს საკონკურსო კომისიის სხდომებს, ხოლო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის მდივანი.

6. კომისიის წევრი უფლებამოსილია სხდომის დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დასაბუთებული წინადადებით მიმართოთ თავმჯდომარეს.

7. კომისიის საქმიანობა აისახება საატესტაციო კომისიის ოქმებში, რომელთაც ადგენს კომისიის მდივანი და ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

8. კომისიის ყველა წევრი კომისიის სხდომაში მონაწილეობის მიღებას ადასტურებს სხდომაზე დასწრების ფურცელზე ხელმოწერით, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ოქმის განუყოფელ ნაწილს. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. საკონკურსო-საატესტაციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

10. კომისიის გადაწყვეტილებით, მისი წევრი/წევრები კომისიის მუშაობაში შეიძლება მონაწილეობდეს/მონაწილეობდნენ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს წევრის/წევრების ვიზუალური და აუდიო იდენტიფიცირება. ასეთ შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერი თან ერთვის სხდომის ოქმს და კომისიის სხდომის ოქმებსა და დასწრების ფურცელს კომისიის წევრი/წევრები ხელს აწერს/აწერენ ელექტრონულად.

11. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე

წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

12. კომისია შეისწავლის ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიერ წარმოდგენილ საატესტაციო დოკუმენტაციას და აფასებს დასაქმებულის საქმიანობას საატესტაციო კრიტერიუმების შესაბამისად.

13. საატესტაციო კომისია ვალდებულია ატესტაციას დაქვემდებარებული თითოეული პირის ატესტაციის შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა და შეავსოს ატესტაციის გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული შეფასების ფორმა.

მუხლი 5. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება

1. საკონკურსო-საატესტაციო კომისია ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შესახებ იღებს ერთ-ერთ შემდეგი გადაწყვეტილებას:

ა) შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

გ) არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

2. იმ შემთხვევაში, თუკი დასაქმებულის შეფასების შედეგად ირკვევა, რომ იგი ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, კომისია იწვევს მას კომისიის სხდომაზე და გასაუბრების გზით აფასებს დასაქმებულის მიერ ატესტაციის კრიტერიუმების არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას. აღნიშნულის შესახებ შესაბამისი დასაბუთება აისახება კომისიის სხდომის ოქმში (დასკვნაში).

3. ატესტაციის შედეგები ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით, რომელსაც თან ერთვის ატესტაციას დაქვემდებარებული თითოეული პირის შეფასების ფორმა.

4. საატესტაციო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმი წარედგინება ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს და გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე.

მუხლი 6. ატესტაციის შედეგების გასაჩივრება

1. ატესტაციის შედეგები დასაქმებულის მიერ შესაძლებელია გასაჩივრდეს ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მე-3 კალენდარული დღისა.

2. დასაქმებულის საჩივარს განიხილავს რექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისია, ბსუ-ს რექტორის მოადგილის (სამეცნიერო მიმართულებით), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის შემადგენლობით (დასაშვებია კომისიაში სხვა, შესაბამისი დარგის/მიმართულების სპეციალისტის მონაწილეობა).

3. სააპელაციო კომისიის მუშაობა აისახება ოქმში. კომისია 3 დღის ვადაში ადგენს დასკვნას წარდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის თაობაზე.

4. სააპელაციო კომისიის დასკვნა წარედგინება ბსუ-ს რექტორს/აკადემიურ საბჭოს და ეცნობება დასაქმებულს და საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

მუხლი 7. ატესტაციის შედეგების დამტკიცება

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭო 1 კვირის ვადაში ამტკიცებს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ წარდგენილ ატესტაციის შედეგებს. ატესტაციის შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, ატესტაციის შედეგებს აკადემიური საბჭო

ამტკიცებს სააპელაციო კომისიის დასკვნის გათვალისწინებით.

2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ატესტაციის კრიტერიუმების სრულად დაკმაყოფილების მიზნით დასაქმებულს მისცეს დამატებითი ვადა, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა.

3. ატესტაციის დაქვემდებარებული პირის მიერ აკადემიური საბჭოს მიერ დამატებით განსაზღვრულ ვადაში ატესტაციის კრიტერიუმების სრულად დაკმაყოფილების თაობაზე საკითხს განიხილავს დამატებითი ვადის ამოწურვიდან 10 დღის ვადაში, ბსუ-ს რექტორის მოადგილის (სამეცნიერო მიმართულებით), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის შემადგენლობით კომისიის დასკვნის საფუძველზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ ატესტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად დასაქმებული არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მას უწყდება უნივერსიტეტთან არსებული შრომითი ხელშეკრულება.